ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3023274

ნომერი: AR1465871

თარიღი : 22.12.2016

გაცემის თარიღი : 29.12.2016

გაცნობის თარიღი : 29.12.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პეტრე იბერის , ავტოტექმომსახურეობის გვერდით;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვალერი მიმინოშვილი პ/ნ 01015001043
- თბილისი ვ.გორგასალის IV შეს. N 9

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების

მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის – სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1465871 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, დანართის სახით წარმოდგენილ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: #01.10.06.001.203–ის მიმდებარედ) მისასვლელი საავტომობილო გზის მოწყობასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
არქიტექტურის სამსახურს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიაჩნია გასცეს დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა, თქვენს მიერ დანართის სახით წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: #01.10.06.001.203) დამატებით მისასვლელი სამანქანო გზის მოწყობასთან დაკავშირებით. აქვე გაცნობებთ, ვინაიდან საპროექტო ტერიტორია დაურეგისტრირებელია, საბოლოო ნებართვის მოსაპოვებლად საჭიროა მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge